



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №7

2014 წლის 7 თებერვალი

ქ. დუშეთი

ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს გენერალური დირექტორისათვის, გამარტივებული შესყიდვით კვების პროდუქტების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

2014 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი კვების პროდუქტების შესყიდვისათვის, არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა, „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განახორციელა რვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, მათგან ოთხ ტენდერთან დაკავშირებით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მიღებული მოთხოვნის საფუძველზე, შეჩერებული იქნა სატენდერო პროცედურები, ერთ-ერთი პრედენდენტის გ.ვართანოვის მიერ დაწერილი საჩივრის განხილვამდე.

იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში იწურება კვების პროდუქტების მარაგი, საჩივრების განხილვა კი დღემდის არ დასრულებულა, საკრებულო სიტუაციას აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და მათი შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევს, მიეცეს თანხმობა „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს“, ფილიალებისათვის საკვები პროდუქტების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვით.

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის “შ” ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა არასამეწარმეო იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს გენერალურ დირექტორს, ტენდერის

პროცედურის დამთავრებამდე, კვების პროდუქტების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვით.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ცარო სამაგლიშვილი

